განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

01 ნოემბერი, 2021 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა<br><br>Master Program in Multimedia Journalism and Media Management |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ჟურნალისტიკის მაგისტრი<br><br>Master of Journalism |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>27.11.2012, გადაწყვეტილება N715 |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა კაჭარავა (თავმჯდომარე); ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ჟიჟილაშვილი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ გაგუა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქიმერიძე ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ თავხელიძე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ჯიპა) ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს 2002 წლიდან; 2012 წლის 27 ნოემბერს პროგრამამ განახლებული სახელწოდებით „მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტი" მიიღო აკრედიტაცია (გადაწყვეტილება #715).

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა-ს) ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნია მულტიმედია ჟურნალისტებისა და მედია ანტრეპრენერების მომზადება, რომლებიც თანამედროვე ციფრულ ეპოქაში შეძლებენ წარმატებულ მოღვაწეობას და საკუთარი საქმიანობით ხელს შეუწყობენ დამოუკიდებელი მედიის განვითარებას, პლურალისტური და თავისუფალი მედია გარემოს გაძლიერებას და სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული პროცესების სტიმულირებას; პროგრამა ითვალისწინებს ჟურნალისტიკის სფეროს განვითარების უახლეს გლობალურ მიმართულებებს და ტენდენციებს. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ როგორც პროფესიული, დაბალანსებული, ეთიკური ჟურნალისტური კონტენტის

შექმნას სხვადასხვა ტიპის მედია პლატფორმებისთვის, ასევე საკუთარი ციფრული მედია პლატფორმის შექმნას და ოპერირებას.

პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია, ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკულ ნაწილს და სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სულ 11, 5 - აფილირებული პროფესორი, 1- ასოცირებული პროფესორი და 5- ასისტენტ- პროფესორი; ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 47, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ პირთა რაოდენობა 44. შემოწმების პერიოდში პროგრამას ჰყავს 31 აქტიური სტუდენტები.
სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განვითარდნენ პროფესიულად და წარმატებული კარიერა შეიქმნან მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამაუწყებლო (ტელევიზია, რადიო), ონლაინ, ბეჭდურ მედიასა და წარმოების სტუდიებში (პროდაქშენ სტუდიები), ან თავიანთ მიერ შექმნილ მედია სტარტაპებში, ასევე კვლევით, საკონსულტაციო და კომუნიკაციის სხვა მომიჯნავე სფეროში ან/და გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, (ჯიპა-ს) აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში 01.11.2021 შემოწმების ონლაინ ფორმატით (ონლაინ ინტერვიუები; მატერიალური რესურსების ონლაინ დათვალიერება).
ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების დროს.
აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. სესიები მიმდინარეობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში. ინტერვიუები ჩატარდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მისცა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღო

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -სრული შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილი შესაბამისობა;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- -სრული შესაბამისობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა --სრული შესაბამისობა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები --სრული შესაბამისობა.

- რეკომენდაციები

*კომპონენტი 2.2.*

- მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში აღინიშნოს როდის და რა რაოდენობის თავისუფალი კრედიტების აღება შეუძლიათ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია არჩევითი საგნები გაიაროს უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიდანაც.

*კომპონენტი 2.3.*

- ორი ლექტორის ავტორობით წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს და დაზუსტდეს შეფასების სისტემა - თითოეული ლექტორის როლი შეფასების პროცესში და მათი წილი ფინალური გამოცდის შეფასებისას. ეს საგნებია: მედია სამართალი და ეთიკა, გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება, ჟურნალისტური ოსტატობა, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

*კომპონენტი 2.1.*

- სასურველია, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათავის აუცილებელი საგამოცდო ტესტების ნიმუშები, როგორც ინგლისური ენაში, ასევე, სპეციალობაში, ჩარიცხვამდე სამი თვით ადრე მაინც იყოს ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებგვერდზე.

*კომპონენტი 2.2.*

- სასურველია, რომ საგანი „მედიის ორგანიზაციული მართვა" შედიოდეს საგანმათლებლო პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე საგნების კატეგორიაში, ვინაიდან პროგრამის სახელწოდების მიხედვით მისი მთავარი კომპონენტია მედია მენეჯმენტიც. ამ მიმართულების სრულფასოვნად შესწავლა კი სავალდებულო საგნების ბლოკში წარმოდგენილი სილაბუსებით არ დასტურდება.
- სასურველია, რომ ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში, საგანმანათლებლო პროგრამის IV სემესტრის აქტივობა მოიხსენიებოდეს ერთი და იმავე სახელწოდებით „სამაგისტრო პროექტი" (როგორც ეს აღნიშნულია კურიკულუმის საგნების ბადეში და არა „სამაგისტრო ნაშრომი", როგორც ეს სხვა შემთხვევებშია).

*კომპონენტი 2.3.*

- სასურველია, რომ სასწავლო კურსებში ორი ლექტორით, რომლებშიც კონკრეტული საკითხების სწავლება მიმდინარეობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, იყოს მეტი კვეთა, ვინაიდან თუკი სილაბუსის ავტორი ლექტორები საკუთარი მიმართულებები სწავლებას დაიწყებენ და დაასრულებენ ერთმანეთთან შეხების გარეშე, მაშინ კონკრეტული მიმართულებების ერთ სასწავლო კურსში წარმოდგენა აზრს კარგავს. ასეთი სასწავლო კურსებია: მედიის სამართალი და ეთიკა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა.

- *კომპონენტი 2.4.*

პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში ჰქონდეთ სასწავლო პრაქტიკის არჩევის შესაძლებლობა;

სასურველია, რომ აკადემიური პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს, სემესტრულად/წლიურად რამდენი სტუდენტის პრაქტიკისთვის/დასაქმებისთვის მიღების შესაძლებლობა აქვთ მათ აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში.

სასურველია პროგრამას უფრო ძლიერი შედეგი ჰქონდეს სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებებით. სამაგისტრო პრაქტიკულ პროექტს დაემატოს კვლევის სავალდებულო კომპონენტიც - კონცეპტუალური განაცხადი, რომელსაც სტუდენტი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით შეასრულებს.

*კომპონენტი 5.2*

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დიდ როლს თამაშობს რეგიონის ფარგლებში დარგის სპეციალისტების მომზადებაში, სასურველია თუ პროგრამის რეაკრედიტაციის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ შეფასებაში ჩაერთვებიან რეგიონის და უცხოელი დარგის ექსპერტები, რაც ხელს შეუწყობს დარგის სიახლეების და აქტუალური თემების დანერგვას საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
    - კურიკულუმში წარმოდგენილ საგნების რუკას თან ახლავს მათი კლასიფიკაცია, რომელ დონეს ავითარებს თითოეული მათგანი - პროფესიის საფუძვლებს (I), გაღმავებას (D) თუ განმტკიცებას (M). ეს ძალიან კარგი პრაქტიკაა, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურას ლოგიკურს და გასაგებს ხდის.
    - კურიკულუმში ასახულია ისეთი თანამდროვე საგნები, რომელთა ერთობლიობაც მულტიმედია ჟურნალისტიკის სპეციალისტს აძლევს საკუთარი პლატფორმის შექმნისა და მისი სხვადასხვა რგოლის მართვის შესახებ ცოდნას, უნარებსა და

ავტონომიურობას. ეს საგნებია: მედია ანტერპრენერშიპი, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მედიის ეკონომიკა.

- საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოში მოქმედი უსდ-ების მსგავსი პროგრამებისგან გამორჩეულად ბევრი და ხარისხიანი პლატფორმა და პროექტები კურიკულუმს მიღმა აქტივობებისთვის, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების მაღალ დონეზე განვითარება და წარმატებების მიღწევა: ფრონტლაინ კლუბი. რადიო ჯიპა, GIPA Media Lab, GIPA Doc U და ა.შ.

**▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ჯიპა-ს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. ცხადია, აღნიშნული პერიოდიდან პროგრამამ ცვლილებები განიცადა, კერძოდ, გაძლიერდა პროგრამის ინოვაციური მხარე კურიკულუმში მულტიმედია ჟურნალისტიკის და ჟურნალისტური ანტრეპრენერშიპის სასწავლო ხაზების გაძლიერებით; გაძლიერდა "კონვერგირებული ნიუსრუმის" კომპონენტი - პროგრამას რამდენიმე საგნის ფარგლებში დაემატა ნიუსრუმის სიმულაციის კომპონენტები, სადაც სტუდენტები რამდენიმე დღის განმავლობაში სტუდენტური მედიის პლატფორმის გამოყენებით პირდაპირ ეთერში აშუქებენ ახალ ამბებს; თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით გაძლიერდა სოციალური მედიისა და ონლაინ მედიის საგნები, ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა "მონაცემთა ანალიზისა და მულტიმედიური თხრობის" საგნად, სოციალური მედიის საგნის ფარგლებში კი სტუდენტები სწავლობენ სოციალური მედიის ყველა უახლესი პლატფორმის გამოყენებას; სკოლის ტექნიკური ბაზა განახლდა და შეივსო მულტიმედიური ჟურნალისტური პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკით (ფოტო და ვიდეო კამერები, განათების სისტემები, მიკროფონები, სამონტაჟო კომპუტერები და სხვა), აეწყო ტექნიკის "ვორკფლო" სისტემა, რამაც გაამარტივა ტექნიკის გამოყენება ყველა პრაქტიკული ფორმატის საგნების ფარგლებში.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათელია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რისკენაც არის პროგრამა ორიენტირებული. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მომავალი პროფესიული გარემოსთვის მზად იქნება. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. იგი მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესა და შრომით ბაზარზე, თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადებას. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტისათვის ღრმა და სისტემური ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის პრინციპების, სტანდარტების, უახლესი ტენდენციებისა და მიდგომების შესახებ; სტუდენტებს შესძინოს მედია პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენების, მულტიმედია ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტსა და მედიაკვლევაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების, კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, პროფესიული წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი პროფესიული ინგლისურის და კომუნიკაციის, მიღებული ცოდნის სინთეზის და პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი ტრანსფერული, პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მტკიცე ღირებულებათა სისტემა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი;<br><br>დასახელებული მიზნების მიღწევა და გაზომვა ხდება პროგრამის ფარგლებში შექმნილი მიზნებისა და შედეგების რუკით, შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ნიშნულებით, რომელიც აჩვენებს რაოდენობრივ ორიენტირებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ. უნივერსიტეტის მისიაა დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და |

| |
|---|
| დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა. მისიასთან სრულ თანხვედრაშია მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს კვალიფიციური სპეციალისტი და მაღალი ცნობიერების მოქალაქე, რომელსაც შეეძლება საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, გადაჭრის გზების მოძიება და ალტერნატივების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, მისი განხორციელება და შედეგამდე მიყვანა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, პროფესიული ეთიკის დაცვას, საქართველოს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციას და საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეების გაძლიერებაში.<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზანს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება წარმოადგენს, რაც სწავლა სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოებას, უცხოელ კოლეგებთან ინტენსიურ თანამშრომლობას მოითხოვს. ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების თვალსაზრისით ჯიპა-ს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება აქვს წარმოდგენილი.<br>კერძოდ, ბოლონიის პროცესი გლობალური ტენდენციის საუკეთესო გამოხატულებაა და საქართველოს ჩართულობის ზრდა ევროპის უმაღლესი განათლებისა (EHEA) და ევროპის კვლევით სივრცეში (ERA) მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამა ათეული წლებია წარმატებით თანამშრომლობს ამერიკის საელჩოებთან სომხეთსა და აზერბაიჯანში, მათი ფინანსური მხარდაჭერით ყოველწლიურად იღებს სტუდენტებს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს უნიკალური ინტერნაციონალური სასწავლო გარემოს შექმნას, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების ერთად სწავლასა და მუშაობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>უნივერსიტეტის მისია;<br>უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>საგანმანათლებლო პროგრამა;<br>ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება;<br>დამსაქმებლებთან შეხვედრების ანალიზი;<br>ხელშეკრულებები საერთაშორისო პარტნიორებთან (სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები);<br>ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, ERASMUS + - ის გაცვლით პროგრამების და მოკლევადიანი სასწავლო კურსების განხორციელებისა და ამ პროგრამებში სტუდენტთა, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;<br>უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge. |

| |
|---|
| ინტერვიუს შედეგები ჯიპას-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამიჯნულია თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდგომ კურსდამთავრებული აღჭურვილია ცოდნით, რომელიც აუცილებელია მულტიმედია ჟურნალისტიკასა და მედია მენეჯმენტის/ანტრეპრენერშიპის სფეროში პროფესიული და ეფექტური საქმიანობისათვის. პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო გეგმის შვიდი შედეგი თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან, ცოდნა - მაგისტრი სიღრმისეულად იაზრებს ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკის, მედია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებს, სტანდარტებს, უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს, ასევე, მედიაკვლევის უახლეს პრინციპებსა და მეთოდოლოგიებს. ცნობიერებს და იაზრებს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და ანტრეპრენერობის პრაქტიკულ ასპექტებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ გარემოს. ტექნიკური უნარები - მაგისტრი იყენებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომისა და ციფრული მედია პროდუქტის წარმოებისთვის ყველა საჭირო უახლეს ტექნიკურ საშუალსებას (ვიდეო და ფოტო კამერები, მობილური ტელეფონები, სამონტაჟო პროგრამები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, განათების სისტემები, მედია პროექტების წარმოებისა და განხორციელების სხადასხვა ციფრული პლატფორმა, და ა.შ.); პრაქტიკა - მაგისტრი დამოუკიდებლად და ოპერატიულად ახორციელებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ყველა ოპერაციას, ამბის მოძიებიდან მის გავრცელებამდე; არჩევს და აწარმოებს სხვადასხვა პლატფორმასთან შესაბამისი მედია პროდუქტის ფორმას და შინაარს; წარმართავს ციფრული მედია პროდუქტის წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდურად ასრულებს პროდუქტის შექმნისათვის აუცილებელ ყველა როლს; იყენებს მედიაკვლევის მეთოდოლოგიებს, რის შედეგადაც გეგმავს და ახორცილებს გამოყენებით ან აკადემიურ კვლევას; ქმნის მაღალი პროფესიული ხარისხის ჟურნალისტურ ნაშრომებს, მულტიმედიურ პროექტებს და საკუთარ მედია პლატფორმებს; მაგისტრი ქმნის რეალისტურ ბიზნეს მოდელს და მოქმედებს როგორც ანტრეპრენერი ჟურნალისტი; ქმნის და ავითარებს ინოვაციურ ფორმატებს, პროცესებსა და პროდუქტებს. კრიტიკული ანალიზი - მაგისტრი განსაზღვრავს მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს; იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახალ და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ ინფორმაციას; ამუშავებს, აანალიზებს, აორგანიზებს, ასინთეზირებს და საფუძვლიანად აფასებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს; სიღრმისული კვლევის საფუძველზე მოძიებულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ქმნის ობიექტურ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ მედია პროდუქტს;აკადემიურ კვლევაზე დაფუძნებით ავითარებს არგუმენტირებულ მოსაზრებას; განსაზღვრავს ამბის ფოკუსს და პრიორიტეტულობას, ასევე, სამიზნე აუდიტორიას და მის საჭიროებებს; აფასებს მედია პროდუქტის/სტარტაპის პოტენციალს და მის დროულობას/საზარო რელევანტურობას;. კომუნიკაციის უნარი - მაგისტრი ინგლისურ

ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან ამყარებს კომუნიკაციას; ეფექტიანად, პროფესიონალურად წარადგენს პროექტის კონცეფციებს, წინადადებებს, განხორციელების გეგმებს ფორმატისა და ვადების დაცვით (წერილობით და ვერბალურად); ნაყოფიერად და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს გუნდში. ტრანსფერული უნარი - მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში და განსხვავებულ სიტუაციებში და ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას და ცოდნის მუდმივ განახლებას (პროფესიულ ზრდას); ღირებულებები - მაგისტრი იაზრებს დამოუკიდებელი მედიის როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში; აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ჟურნალისტის, ანტრეპრენერის, მკვლევარის და მედია მენეჯერის პროფესიულ საქმიანობას ახლავს თან; იცავს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, სხვა პროფესიულ სტანდარტებს და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკის სფეროს განვითარებაში; აცნობიერებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელობასა და პლურალისტული და თავისუფალი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობას.
ჟურნალისტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელია სტუდენტმა დააგროვოს 120 კრედიტი - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის, არჩევითი საგნების და სამაგისტრო ნაშრომში დადებითი შეფასების შედეგად.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის 7 შედეგისთვის ნიშნულების შეფასება ხდება დამამთავრებელი კურსის შემაჯამებელი აქტივობის, სამაგისტრო ნამუშევრების შედეგებით, სადაც კარგად ჩანს სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა, ტექნიკური ინსტრუმენტების ფლობის უნარი, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ტრანსფერული უნარები და პროფესიულ ღირებულებები.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან პროგრამის შედეგები ძირითადად ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების ( პსშ) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია: საბაზისო ცოდნა; განმავითარებელი ცოდნა; კომპლექსური ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების

| |
|---|
| მექანიზმშია გაწერილი. თითოეული სწავლის შედეგისთვის რუბრიკის კომპონენტების შეკრებით, ვიღებთ ამა თუ იმ სწავლის შედეგის წილს მთლიან შეფასებაში. მაგალითად, პრაქტიკის მაქსიმალური წილი სამაგისტრო ნაშრომის მთლიან შეფასებაში არის 19%, კრიტიკული ანალიზის - 21%, ღირებულებების - 23% და ა.შ.<br><br>ამგვარად, პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს და საბოლოოდ გადის იმ შვიდ შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 10%-ს.პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br><br>სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსები;<br><br>პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br><br>შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა;<br><br>თვითშეფასების ანგარიში;<br><br>ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე |

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ლოგიკურია, სამართლიანია, საჯაროა, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის მქონე პირთა ჩართვას. კერძოდ, მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში; საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL, ILETS), აქვე აღვნიშნავთ, რომ სასურველი იქნებოდა, ინგლისური ენის ტესტის ნიმუში ვებგვერდზე განთავსდეს არა ერთი კვირით, არამედ გამოცდამდე სამი თვით ადრე. სპეციალობის გამოცდის, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა შესაბამის დარგში, საგამოცდო საკითხების ნიმუში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდამდე არა ერთი კვირით, არამედ სამი თვით ადრე განთავსდეს, რათა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს ჰქონდეთ გამოცდების ფორმისა და შინაარსის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია, მომზადებისთვის კი - საკმარისი დრო. მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით.<br><br>სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად, ასევე მობილობის/შიდა მობილობის მარეგულირებელი წესები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-7 |

და მე-8 მუხლებში.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც  შესაძლებელია დაკავშირებული იყოს  შიდა გამოცდასთან, დოკუმენტაციის განხილვასთან ან გასაუბრების წარმატებით გადალახვასთან.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა  მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი არ არის, როგორ ხდება უცხოეთის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვება, თუმცა უსდ-ს ვებგვერდზე შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებისა და რეგისტრაციის პროცესის აღწერაში ეს ინფორმაცია დეტალურად არის მითითებული.
ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ვრცელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის საშუალებით ასევე, ღია კარის დღეებზე, სადაც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პირებს უფრო დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე, ქვეყნდება განცხადება  შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოველწლიურ გზამკვლევში (სწავლების ენა, საფასური, მისაღები ადგილები და ა.შ.).         პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები საჯაროა და განთავსებულია ჯიპას-ს ვებგვერდზე.
აღნიშნული  ინფორმაცია დასტურდება ვებგვერდით და სოციალური ქსელების მონიტორინგის საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საგანამანათლებლო პროგრამა;
თვითშეფასების ანგარიში.
უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
სოციალური ქსელი, უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათავის აუცილებელი საგამოცდო ტესტების ნიმუშები, როგორც ინგლისური ენაში, ასევე, სპეციალობაში, ჩარიცხვამდე სამი თვით ადრე  იყოს ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებგვერდზე.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კანონდებლობის შესაბამისად. სააკრედიტაციო პაკეტში მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, რომელშიც ერთი თავი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანა-გაუქმების წესებისა და პროცედურების აღწერას. აღნიშნული წესები, რომელთა მიხედვითაც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა, გადმოცემულია გასაგებად.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მასზე ჩარიცხვის შემთხვევაში კვალიფიკაციით განსაზღვრული პროფესიის დაუფლება შეუძლია ნებისმიერი სხვა პროგრამის კურსდამთავრებულს.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. ის აგებული და განვითარებულია გასაგებად. დასტურდება თვითშეფასებაში მოცემული აღწერა, რომლის მიხედვითაც: „კრედიტები ისეა გადანაწილებული, რომ ყველა საგანს დაეთმოს შესაბამისი დრო და ყურადღება.

| |
|---|
| კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გონივრული რაოდენობების ჯამს. ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ საათებს.“<br><br>კურიკულუმის რუკაში საგნები წარმოდგებილია სამ დონედ. სწავლის შედეგების რუკაში მითითებულია, რომელი საგანი რომელ კატეგორიაშია და რა შედეგზე გადის ქვემოთ მითითებული დონეების მიხედვით:<br>I-Introduction - გაცნობაზე ორიენტირებული კურსები; D-Develpment - გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები; M - Mastering - განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები.<br><br>პროგრამა არის 120 კრედიტიანი და გაწერილია ოთხ სემესტრზე. I-II-III სემესტრებში სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 95 კრედიტი, საიდანაც: 76 კრედიტი მოიცავს სპეციალობის თეორიულ და პრაქტიკულ სავალდებულო საგნებს; 19 კრედიტი მოიცავს ფართო სპექტრის არჩევითი საგნების ბლოკს (III სემესტრი). IV სემესტრში სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო პროექტზე - 25 კრედიტი.<br><br>აქვე აღვნიშნავთ, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით: სტუდენტს III სემესტრში საშუალება ეძლევა, არჩევითი საგნები გაიაროს უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიდანაც, თუმცა მსგავსი ჩანაწერი არ იძებნება საგანმანთლებლო პროგრამაში. სასურველი იქნებოდა, კურიკულუმის რუკაში აღნიშნული ყოფილიყო ამ ე.წ. თავისუფალი კრედიტებისა და მისი რაოდენობის საკითხი. ვფიქრობთ, სტუდენტს პროგრამა უნდა უსაზღვრავდეს როდის და რამდენი თავისუფალი კრედიტის აღება შეუძლია. ასევე, სასურველი იქნებოდა პროგრამის IV სემესტრში განსაზღვული აქტივობა ყველა დოკუმენტში მოიხსენიებოდეს ერთი და იმავე სახელწოდებით: პროგრამაში მას რამდენიმე გამონაკლისის გარდა ჰქვია „სამაგისტრო პროექტი“, თვითშეფასებაში - „სამაგისტრო ნაშრომი“.<br><br>პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ჟურნალისტიკის მაგისტრის ხარისხს, რაც შესაბამისობაშია მის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა რჩევის სახით აღვნიშნავდით, რომ რადგანაც პროგრამის სახელწოდებაში ფიგურირებს „მედია მენეჯმენტიც“, საგანი, რომელიც კურსდამთვრებულს სრულფასოვნად შეასწავლის ამ მიმართულებას, პროგრამაში იყოს არა არჩევითი, არამედ სავალდებულო საგნის სტატუსით. როგორც პროგრამის აღსრულებაში ჩართულ პირებთან უშუალო შეხვედრისას გაირკვა ამ საგანმა რეაკრედიტაციის პროცესში შეიცვალა სტატუსი - სავალდებულოდან არჩევითისკენ იმის გამო, რომ აქცენტი გაკეთდა ანტერპრენერობის შესწავლაზე, რაც თავისთავად მენეჯმენტის ელემენტების შესწავლასაც გულისხმობს, თუმცა სილაბუსებში ჩაღრმავების შემდეგ გაირკვა, რომ ორგანიზაციის მენეჯერული მართვის შესახებ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობას სტუდენტი იძენს სწორედ საგანის „მედიის ორგანიზაციული მართვის“ ფარგლებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები |

| |
|---|
| • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>• უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები<br>• ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია |
| რეკომენდაციები:<br><br>მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში აღინიშნოს როდის და რა რაოდენობის თავისუფალი კრედიტების აღება შეუძლიათ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია არჩევითი საგნები გაიაროს უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიდანაც. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია, რომ საგანი „მედიის ორგანიზაციული მართვა“ შედიოდეს საგანმათლებლო პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე საგნების კატეგორიაში, ვინაიდან პროგრამის სახელწოდების მიხედვით მისი მთავარი კომპონენტია მედია მენეჯმენტიც. ამ მიმართულების სრულფასოვნად შესწავლა კი სავალდებულო საგნების ბლოკში წარმოდგენილი სილაბუსებით არ დასტურდება.<br><br>სასურველია, რომ ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში, საგანმანათლებლო პროგრამის IV სემესტრის აქტივობა მოიხსენიებოდეს ერთი და იმავე სახელწოდებით „სამაგისტრო პროექტი“ (როგორც ეს აღნიშნულია კურიკულუმის საგნების ბადეში და არა „სამაგისტრო ნაშრომი“, როგორც ეს სხვა შემთხვევებშია). |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>კურიკულუმში წარმოდგენილ საგნების რუკას თან ახლავს მათი კლასიფიკაცია, რომელ დონეს ავითარებს თითოეული მათგანი - პროფესიის საფუძვლებს (I), გაღმავებას (D) თუ განმტკიცებას (M).  ეს ძალიან კარგი  პრაქტიკაა, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურას ლოგიკურს და გასაგებს ხდის.<br><br>კურიკულუმში ასახულია ისეთი თანამდროვე საგნები, რომელთა ერთობლიობაც მულტიმედია ჟურნალისტიკის სპეციალისტს აძლევს საკუთარი პლატფორმის შექმნისა და მისი სხვადასხვა რგოლის მართვის შესახებ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობას. ეს საგნებია: მედია ანტერპრენერშიპი, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მედიის ეკონომიკა. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის |

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სილაბუსები აგებულია ერთსა და იმავე ფორმაში, მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, შინაარსობრივად კი მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებსა და მიღწევებზე.

სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვთ სხვადასხვა წონა. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ასახული, კრედიტების მინიჭება და მისი სწავლის შედეგების განსაზღვრა გამომდინარეობს კურსის შინაარსიდან. უსდ-ში ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. ის მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებს.

რამდენიმე სასწავლო კურსს სილაბუსებში მითითებული ჰყავს ორი ავტორი. ასეთ შემთხვევებში შეინიშნა შეფასების სისტემის მეტად დახვეწის აუცილებლობა. საგნებში: მედია სამართალი და ეთიკა, გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება, ჟურნალისტური ოსტატობა, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მონაცემთა ანალიზი და

| |
|---|
| მულტიმედიური თხრობა - არ ჩანს რომელი ლექტორი შეფასების რომელ კომპონენტშია ჩართული და რა ფორმით. ასევე, არ არის დაზუსტებული, როგორ ფასდება ფინალური კომპონენტი - ერთობლივად, ინდივიდუალურად, თუ ორივე ლექტორის საბოლოო შეფასების ქულების ჯამით.<br><br>ასევე, ორი სხვადასხვა ლექტორის ავტორობით წარმოდგენილ სილაბუსებში - იქ, სადაც ორი თემის ერთობლიობაა, მაგალითად, მედია სამართალი და ეთიკა, სასურველია, კურსის მსვლელობისას ეს ორი მიმართულება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად განვითარების ნაცვლად შინაარსობრივად ერთმანეთთან იყოს კავშირში ქეისების განხილვისას, დავალებებისა და განსაკუთრებით გამოცდების შესრულებისას და ა.შ. სხვა შემთხვევაში მათი ერთი საგნის ქვეშ და არა დამოუკიდებლად წარმართვა შესაძლოა აზრს მოკლებული იყოს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br><br>ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>ორი ლექტორის ავტორობით წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს და დაზუსტდეს შეფასების სისტემა - თითოეული ლექტორის როლი შეფასების პროცესში და მათი წილი ფინალური გამოცდის შეფასებისას. ეს საგნებია: მედია სამართალი და ეთიკა, გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება, ჟურნალისტური ოსტატობა, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, რომ სასწავლო კურსებში ორი ლექტორით, რომლებშიც კონკრეტული საკითხების სწავლება მიმდინარეობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, იყოს მეტი კვეთა, ვინაიდან თუკი სილაბუსის ავტორი ლექტორები საკუთარი მიმართულებები სწავლებას დაიწყებენ და დაასრულებენ ერთმანეთთან შეხების გარეშე, მაშინ კონკრეტული მიმართულებების ერთ სასწავლო კურსში წარმოდგენა აზრს კარგავს. ასეთი სასწავლო კურსებია: მედიის სამართალი და ეთიკა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს განსაკუთრებით მაღალ დონეზე უვითარებს პრაქტიკულ უნარებს. ეს დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სტუდენტების პორტფოლიოებით და იმ წარმატებების გაზიარებით, რაც აღნიშნული პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ პროფესიაში. როგორც სტუდენტებთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისას გაირკვა, რომ მათი დიდი უმრავლესობა მუშაობს პროფესიით, ნაწილი - მართავს საკუთარ მედია პლატფორმებს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიღმა სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობაში: ფრონტლაინ კლუბის, რადიო ჯიპას, GIPA Media Lab-ის, GIPA Doc U-ს პროექტებში, რაც დიდწილად განსაზღვრავს მათი უნარების განვითარებას.

პრაქტიკულთან შედარებით პროგრამას სასურველია, უფრო ძლიერი შედეგი ჰქონდეს სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებებით. ამ კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობა შეხვედრებისას აღნიშნეს პროგრამის აღსრულებაში ჩართულმა პირებმაც. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში დაცული არ არის ციტირების წესები, ნამუშევრის მოცულობა და

ზოგადი სტანდარტები, რის დახვეწასა და გაძლიერებაზეც, როგორც შეხვედრებისას გაირკვა, რეაკრედიტაციის შემდეგ გამახვილდება ყურადღება - სამაგისტრო პრაქტიკულ პროექტს დაემატება კვლევის სავალდებულო კომპონენტიც - კონცეპტუალური განაცხადი, რომელსაც სტუდენტი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით შეასრულებს.

პრაქტიკულთან შედარებით პროგრამას სასურველია, უფრო ძლიერი შედეგი ჰქონდეს სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებებით. ამ კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობა შეხვედრებისას აღნიშნეს პროგრამის აღსრულებაში ჩართულმა პირებმაც. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში დაცული არ არის ციტირების წესები, ნამუშევრის მოცულობა და ზოგადი სტანდარტები, რის დახვეწასა და გაძლიერებაზეც, როგორც შეხვედრებისას გაირკვა, რეაკრედიტაციის შემდეგ გამახვილდება ყურადღება - სამაგისტრო პრაქტიკულ პროექტს დაემატება კვლევის სავალდებულო კომპონენტიც - კონცეპტუალური განაცხადი, რომელსაც სტუდენტი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით შეასრულებს.

სასურველი იქნებოდა, რომ სასწავლო პრაქტიკა შედიოდეს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნების ჩამონათვალში, პარტნიორებთან გაფორმებულ მემურანდუმებში კი ნათლად ჩანდეს, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამიდან რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლიათ სემესტრულად/წლიურად ამ კონკრეტულ ორგანიზაციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სტუდენტური მედიის ვებ გვერდი - www.newscafe.ge
- რადიო ჯიპას ვებ გვერდი - http://radiogipa.ge
- ფრონტლაინ კლუბის ვებ გვერდი - www.frontlinegeorgia.ge
- უნივერსიტეტი ვებ გვერდი - www.gipa.ge.
- GIPA Doc U, ჯიპას დოკუმენტური ფილმების ფესტივალის სოც. მედია გვერდი https://www.facebook.com/gipadocu
- GIPA Media Lab, ჯიპას რეგიონალური პროექტის სოც. მედია გვერდი https://www.facebook.com/GIPAMEDIALAB
- ფემიციდი - ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის“ პორტალი http://www.femicide.ge/geo

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს

| |
|---|
| პროგრამის ფარგლებში ჰქონდეთ სასწავლო პრაქტიკის არჩევის შესაძლებლობა;<br><br>სასურველია, რომ აკადემიური პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს, სემესტრულად/წლიურად რამდენი სტუდენტის პრაქტიკისთვის/დასაქმებისთვის მიღების შესაძლებლობა აქვთ მათ აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში.<br><br>სასურველია პროგრამას უფრო ძლიერი შედეგი ჰქონდეს სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებებით. სამაგისტრო პრაქტიკულ პროექტს დაემატოს კვლევის სავალდებულო კომპონენტიც - კონცეპტუალური განაცხადი, რომელსაც სტუდენტი წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით შეასრულებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოში მოქმედი უსდ-ების მსგავსი პროგრამებისგან გამორჩეულად ბევრი და ხარისხიანი პლატფორმა და პროექტები კურიკულუმს მიღმა აქტივობებისთვის, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების მაღალ დონეზე განვითარება და წარმატებების მიღწევა: ფრონტლაინ კლუბი. რადიო ჯიპა, GIPA Media Lab, GIPA Doc U და ა.შ. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების |

| |
|---|
| გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით; მეთოდები მოქნილია, თანხვედრაშია სწავლების საფეხურთან, კურსების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებებია: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, და სხვა; კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში, რომლებიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დისკუსია/დებატები ჯგუფური მუშაობა გონებრივი იერიში (Brainstorming) შემთხვევის ანალიზი (Case study) სიმულაცია ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პროფესორ-მასწავლებლები სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც დარგის სპეციფიკას, ისე სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.<br><br>მრავალფეროვნება, ინდივიდუალური მიდგომა და თანამედროვე მეთოდები საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. პროგრამისა და თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე.<br><br>საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა; სწავლების მეთოდების ადაპტირება ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით გათვალისწინებული და დარეგულირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მეოთხე თავში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის შესაბამისად.<br><br>ჯიპა 2013-2016 წლებში ჩართული იყო ტემპუსის საგრანტო პროექტში ,,ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია (ASPIRE)“. უნივერსიტეტის თხუთმეტმა თანამშრომელმა პროექტის ფარგლებში სპეციალური მომზადება გაიარა.<br><br>2016 წლიდან GIPA ჩართულია ,,ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და პროგრამის შემუშავების გარდა, დაგეგმილია სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.<br><br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილია ინკლუზიის კოორდინატორით, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობს და პასუხისმგებელი არის სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვაზე.<br><br>აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის |

ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და ასევე, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის და სტატუს აღდგენილი სტუდენტისთვის, რომელიც ითვალისწინებს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო გრაფიკს.

პროგრამის მულტიკულტურული ხასიათიდან გამომდინარე ქართველ სტუდენტებთან ერთად პროგრამაზე სწავლობენ სომეხი, აზერბაიჯანელი, უცხოელი სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან - განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხოელი სტუდენტების კულტურულ და სხვა ტიპის საჭიროებებს და მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. ამ მიზნით, პროგრამის აკადემიური საბჭო მუდმივად მუშაობს უცხოელი სტუდენტების ინტეგრირების და სწავლა-სწავლების სპეციალური მიდგომებისა და მეთოდების შემუშავებაზე, სწავლების მეთოდოლოგიაში უცხოელი სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების და კულტურულ-ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინებაზე. უნივერსიტეტს ინგლისურ ენაზე აქვს მომზადებული სტუდენტების გზამკვლევი, სადაც სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად, მაგალითად, როგორიცაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ეთიკური ქცევის კოდექსი და სხვა, სტუდენტური გზამკვლევი უცხოელ და ქართველ სტუდენტებს ეგზავნებათ და ხდება წესების და რეგულაციების მათთან განხილვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა. აკადემიური სასწავლო წლის დასაწყისში ყოველთვის იმართება სტუდენტებთან შეხვედრა არაფორმალურ გარემოში მათი ურთიერთგაცნობის, თვითგამოხატვის და თიმბილდინგის ხელშეწყობის მიზნით; ასეთი შეხვედრები რეგულარულად იმართება სწავლის პროცესშიც.

პროგრამაში ჩართულ უცხოელ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ უნივერსიტეტის პროფესურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტთა ჩართვას გუნდურ/ჯგუფურ სამუშაოებსა და ერთობლივ პროექტებში, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების, ერთმანეთისადმი შესაძლო არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების მოსახსნელად სტუდენტებთან იმართება შეხვედრები პროგრამის აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ კურსდამთავრებულებთან, მოწვეული სტუმრის ან სხვა სტატუსით, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ როგორც კოლეგები, მაგალითად ჯიპას კურსდამთავრებულების გუნდი VOA-ში, ამერიკის ხმის ოფისში ვოშინგტონში, ჩაიხანაში და ასე შემდეგ. ზოგიერთი საგნის დაგეგმვა კურიკულუმში სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით ხდება.

დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთათვის დაგეგმილია შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ რაოდენობრივი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხელშეკრულება ტემპუსის პროექტთან დაკავშირებით - "ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია (ASPIRE)";
- ინტერვიუები სტუდენტებთან, პროფესორებთან
- ხელშეკრულება "ERASMUS+" პროექტთან დაკავშირებით - "უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)" - ხელშეკრულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით. მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სწავლის შედეგის მიღწევის დონე მოიცავს სხვადასხვა შეფასების ფორმებს: შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. პროცესი გამჭირვალეა ყველა სტუდენტისათვის, რასაც ადასტურებენ სტუდენტები. მათი თანამშრომლობა ლექტორებთან საკმაოდ მჭიდროა. სტუდენტებმა თავიდანვე იციან კურსის შესახებ ინფორმაცია, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ლექტორი უწევს კონსულტაციას.

პროგრამის სილაბუსებში სწავლის შედეგების მისაღწევად შემუშავებულია სხვადასხვა შეფასების რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა: წერითი გამოცდა, ზეპირი ინდივიდუალური ან/და გუნდური პრეზენტაცია, საკლასო აქტივობა, სიმულაცია, ქეისის გარჩევა, საშინაო დავალება და სხვა. საშინაო დავალება შეიძლება იყოს (სტატია, ფოტო ამბავი, ვიდეო რეპორტაჟი, პოდკასტი, სტარტაპის კონცეპტუალური განაცხადი, კრიტიკული ანალიზი და სხვა).

თითოეულ სილაბუსში საკმაოდ დეტალურად არის გაშლილი სწავლის შედეგები, სწავლის შეფასების მეთოდები დეტალურად არის განმარტებული თუ რას უნდა მიაღწიოს სტუდენტმა შეფასების მეთოდით, აქვე განმარტებულია პროცენტულად როგორ ხდება სტუდენტის შეფასება.

სასწავლო კურსების გარდა, სტუდენტი წერს სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც აფასებს ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციას აფასებს კომისია. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

თუმცა არის გარკვეული სილაბუსები სადაც, დასახვეწია პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილი, თუ სილაბუსი ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას ითვალისწინებს დასაზუსტებელია სტუდენტი საბოლოოდ რა შედეგზე უნდა გავიდეს.

მაგალითად: ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია, რომ სტუდენტმა იცის სამაუწყებლო სისტემის მოთხოვნები, აღნიშნულია, რომ აფასებს ხმის და ვიზუალის ხარისხსა და ღირებულებებს, ამ შემთხვევაში თუ ცოდნა გაცნობიერებაშიც შეაფასა ავტონომიურობა და პასუხისმგებლობამ სხვა მიმართულება უნდა განუვითაროს სტუდენტს. შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტის სწავლის შედეგი ცოდნა გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სხვადასხვა მიმართულებებს უნდა უვითარებდეს, სილაბუსებში ეს მიმართულება გადასახედი იქნება.

| |
|---|
| თუმცა შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს სტუდენტი გაყავს იმ შედეგზე რასაც მოიცავს ცოდნა გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.<br>უნივერსიტეტში მოქმედებს გასაჩივრების მექანიზმი, სტუდენტს სამი დღის ვადაში აქვს უფლება გაასაჩივროს შეფასება. სკოლის დეკანი განსაზღვრავს ლექტორს და დარგის ექსპერტს, რომელიც ვალდებულია ორი კვრის ვადაში, საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად შეაფასოს სტუდენტის ნაშრომი, ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა.<br>აღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებით დაისვა კითხვა სტუდენტებთან, რომლებსაც არ ქონიათ მსგავსი შემთხვევა, თუმცა იცნობდნენ ამ ინფორმაციას, იცოდნენ რა ვადებში შეეძლოთ ნიშნის გასაჩივრება, ვისთვის უნდა მიემართათ და ა.შ. სტუდენტებს ნიშნები ეტვირთებად უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე, იქიდან გამომდინარე თუ რა სამუშაო დატვირთვა ქონდათ სხვადასხვა დავალების დროს. ყველა სტუდენტმა აღნიშნა, რომ არასდროს დაუგვიანია ლექტორს სტუდენტის შეფასება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში<br><br>უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი<br><br>მულტიმედია ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა<br><br>პროგრამის სილაბუსები<br><br>ინტერვიუები სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან |

| |
|---|
| დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტი მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების, სხვადასხავა აქტივობების შესახებ ინფორმაციას, როგორიცაა, კარიერული განვითარება, ინტერნაციონალიზაცია და ა.შ. ინფორმაციის მიწოდება სტუდენტთან ხდება სხვადასხვა სახით, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან, ასევე ინფორმაცია იდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეე, ასევე უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე.<br>უნივერსიტეტის სტუდენტები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ამას მოწმობს ისიც, რომ ორი სტუდენტი აკრედიტაციის ვიზიტის დროს ერთი სტუდენტი  ფინეთიდან ჩაერთო, ხოლო მეორე სტუდენტი ნორვეგიაში იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით.<br>აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ EUROPE ON AIR და Invisible Cities პროექტების ფარგლებში  წავიდნენ ევროპულ ქვეყნებში, უცხოელ სტუდენტებთან ერთად იმუშაონ და მოამზადონ პოდკასტები. რაც მნიშვნელოვნად ზრდის საერთაშორისო გამოცდილებას სტუდენტებისათვის.<br>პროგრამის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, ფაქტიურად პირველივე კურსიდან საქმდებიან სტუდენტები. აქვე შევხდით დამსაქმებლებს, ერთ-ერთ კომპანიაში დასაქმებულია ორი, ხოლო მეორეში  უნივერსიტეტის რვა სტუდენტი.<br>აღსანიშნავია, უცხოელი სტუდენეტების ჩართულობა ამ პროგრამაში. ექსპერტებს გვქონდა საშუალება შევხვედროდით პროგრამაში ჩართულ უცხოელ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ როდესაც მათ დაიწყეს მუშაობა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა დამსაქმებლისათვის, თუ რომელი უნივერსიტეტი ქონდათ დამთავრებული. არსებული სტუდენტები კი საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული პროგრამაში, ისინი ყოველ სემესტრში მონაწილეობას იღებენ კურსებისა და ლექტორების შეფასებების პროცესებში.<br>გარდა სალექციო საათებისა, სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი საკონსულტაციო საათების გამოყენებაც.<br>გარდა სასწავლო პროცესისა, უნივერსიტეტი უზრუნველყობს სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს სტუდენტებისათვის, როგორიცაა: კონფერენციები, რადიო და სატელევიზიო გადაცემები, უნივერსიტეტი ახორციელებს GIPA Doc U ფესტივალს, ფესტივალის |

ფარგლებში დოკუმენტური ფილმების ერთ კვირიანი სახელოსნო კახეთში ამუშავდება. 2016 წლიდან GIPA-ს ორგანიზებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება Portfolio Review Tbilisi ტარდება. Portfolio Review Tbilisi აერთიენებს, სტუდენტებს კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით აქვთ ნამუშევრები. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს რადიო ჯიპა. რომელიც სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს სადაც, რა თქმა უნდა სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მოქნილი ელექტრონული სისტემები, ექსპერტებს გვქონდა საშულება ონლაინ გვენახა თუ როგროც მუშაობს ონლაინ ბიბლიოთეკა, რაც ნამდვილად ძალიან მოსახერხებელიას სტუდენტისათვის. სტუდენტებს სასწავლო მასალა ეტვირთებად შიდა ელექტრონულ სისტემაზე, გარდა ამისა აქვე ჩაშენებული Library@gipa.ge, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ონლაინ მოიძიონ წიგნები, ხოლო კიდევ უფრო ფართო მაშტაბური წიგნების კატალოგი შესაძლებელია მოიძიონ საბიბლიოთეკო ელექტრონული სისტემის კოჰას (KOHA) მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტური კითხვარის ანალიზი

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულთა კითხვარის ანალიზი

საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი https://gipa.ge/

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან/კორდინატორთან. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევას სტუდენტი ახორციელებს სწავლების მეოთხე სემესტრში.<br><br>სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მოვალეობაა მისცეს სტუდენტს მიმართულება, ასევე გააკონტროლოს მაგისტრანტის კვლევითი კომპონენტის შესრულება და კვლევის სწორად წარმართვა. სამაგისტრო თემის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია ყავდეს, როგორც ხელმძღვანელი ასევე კონსულტანტი. ამ მიმართულებას საკმაოდ კარგად იყენებს უნივერსიტეტი, გარდა ერთი ხელმძღვანელისა, სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალები ჩართულნი არიან სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის კონსულტაციის უზრუნველყოფაში.<br><br>ერთმა პროფესორმა შეიძლება ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომს, თანახელმძღვანელობის შემთხვევაში კი რვას.<br><br>სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი და კვლევითი კომპონენტის შეფასება, ასევე, თემის ხელმძღვანელის მოვალეობები, ჩაშლილია დოკუმენტში: სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.<br><br>თემაზე მუშაობისას სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანამშრომლობა საკმაოდ |

აქტიურია,

უნდა აღინიშნოს, თემის ხელმძღვანელების საკმაოდ მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი მოტივაცია, რომ სტუდენტს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი. ლექტორები კვირაში ერთხელ აწყობენ მაგისტრანტებთან შეხვედრებს, ინტენსიური შეხვედრები საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან, თემის ხელმძღვანელებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მულტიმედია ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციის აუცილებელი კომპეტენციების მოთხოვნებსა და პროგრამის მიზნებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გარდა აკადემიური კვალიფიკაციისა, ფლობს მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას, ბევრი მათგანი საკუთარ დარგში წარმატებული პროფესიონალია.

სასწავლო პროცესში ჩართულია 28 ლექტორი, აქედან 11 უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობას იკავებს (5 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ

პროფესორი), ხოლო 17 - მოწვეული ლექტორია. პროგრამაზე ირიცხება 31 აქტიური სტუდენტი შესაბამისად 1 აკადემიურ პერსონალზე მოდის 3 სტუდენტი, ხოლო მოვწვეულ პერსონალთან მიმართებაში ეს თანაფარდობა შეადგენს - ერთ მოწვეულ პერსონალზე - 2 სტუდენტს. ამგვარად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან მიმართებით უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას და პროგრამის მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალი მრავალი წელია უნივერსიტეტთან თანამშრომლობს, რაც ხელს უწყობს აღნიშნული პროგრამის მდგრადობას, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით 2021 - 2022 სასწავლო წლისთვის დაგეგმილია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად - ღია კონკურსის წესით. უსდ-ში მოქმედებს ლექტორთა შეფასების წესი

სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი. დეკანი, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია პროგრამის ზოგად სტრატეგიულ განვითარებასა და მართვაზე. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაც ეკუთვნით პროგრამის იდეა და კონცეფცია. ისინი მუდმივად ზრუნავენ პროგრამის გაუმჯობესებაზე, კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე, პროგრამის ზოგად განვითარებაზე და. ა.შ. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელები ადმინისტრაციულად ხელმძღვანელობენ და კოორდინაციას უწევენ პროგრამას, აქტიურად არიან დაკავებული სალექციო პროცესით და ჩართულნი სასწავლო პროცესში. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ახორციელებენ სწავლების ხარისხის მონიტორინგს. პროგრამას ჰყავს კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებასა და დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე, ახორციელებს ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფასა და მონიტორინგს, დახმარებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელებს ხარისხის მართვისა და ადმინისტრაციულ საკითხებში.

პროგრამას ხელმძღვანელობენ პირები, რომელთაც გააჩნიათ ამ ფუნქციის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია და უშუალოდ ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში:

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სწავლების გარდა ჩართულია, სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში; ლექტორები კონსულტირებას უწევენ სტუდენტებს სხვადასხვა ღონისძიების მოწყობაში, საკუთარ საქმიანობაში სწორი სტრატეგიის შერჩევაში და სხვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და სამუშაო აღწერილობა;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის ნიმუში;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კოორდინაციას უწევს კვლევების დეპარტამენტი, რომელიც ახდენს შედეგების შეფასებასა და ანალიზს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით. შეფასება ხორციელდება აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის წლიური ანგარიშის შესაბამისად.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარების ხელისშეწყობასა და ახალი კადრების მოზიდვაზე. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ჩართულნი არიან კვლევით საქმიანობაში, რასაც ადასტურებს მათი მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის კვლევებსა და კონფერენციებში. უსდ-ში მოქმედებს საგრანტო პროგრამა, მოქმედებს ასევე სამოგზაურო გრანტების დაფინანსების სიტემა, რაც გულისხმობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მგზავრობის მხარდაჭერას სამეცნიერო ღონისძიებებზე, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად; საჭიროების მიხედვით, ხდება რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციების თარგმანისა და რედაქტირების ხარჯების დაფარვა, ასევე სამეცნიერო ღონისძიებების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზების ხარჯების გამოყოფა და პროფესიულ ასოციაციაში გაწევრიანების მხარდაჭერა.

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, რომელსაც ახორციელებს ყოველწლიური ანგარიშგების ფორმით.

კვლევითი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ინფორმაციის შეკრებისა და გაანალიზების საფუძველზე, ხარისხის მართვის პრინციპების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტი ადგენს მომავალი წლის სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას, რომელიც გულისხმობს გასული წლის განმავლობაში გამოვლენილ პრობლემებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირებას კონკრეტული აქტივობების გაწერის საშუალებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების (მათ შორის სტატიები, მონოგრაფიები, ანგარიშები, კვლევები, წიგნები) რაოდენობა 37-ია (საერთაშორისო რეცენზირებადი - 17; ადგილობრივი რეცენზირებადი - 20). პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში (19, საიდანაც საერთაშორისო 16 კონფერენცია დასტურდება). მათი აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია მათ პირად საქმეებში

უსდ-ში მოქმედებს სხვადასხვა მიმართულებით კვლევების წარმოების განვითარებული ტრადიცია, მათ შორის ფემიციდის მიმართულებით. მუშაობს კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ლაბორატორია, რომელიც ატარებს ტრენინგებსა და ახორციელებს სასწავლო პროგრამებს.

უსდ აქტიურია საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების კუთხით, თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ ინსტიტუციებთან, მათ შორის უცხოეთის

| |
|---|
| უნივერსიტეტებთან და ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და პროექტში.<br><br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივაციის/პედაგოგიური უნარების დახვეწაზე ზრუნვისთვის უსდ-ს შექმნილი აქვს სპეციალური ცენტრი, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ აწყობს ტრენინგებსა და მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრებს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. ტრენინგებსა და შეხვედრებს უძღვებიან საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენერები და ინსტრუქტორები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, სწავლების უნარებისა და მეთოდების განვითარებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და შეხვედრებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე ახორციელებს GIPA-ს ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br><br>პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში;<br><br>გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.<br><br>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;<br><br>ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br><br>https://herd.tsu.ge/ka/categori/29/Consortia;<br><br>http://jpd.gipa.ge/;<br><br>პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხორციელდება GIPA-ს ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
პროგრამის სტუდენტების განკარგულებაშია მულტიმედიური ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად საჭირო ტექნიკა (ვიდეო კამერის კიტები, ფოტო კამერის კიტები, სადენიანი და უსადენო მიკროფონები, ბუმები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, სამონტაჟო კომპიუტერები, მიქშერები, განათების სისტემები, და სხვა), რაც უზრუნველყოფს ერთდროულად 20 მულტიმედიური ჯგუფის მუშაობას.
ამას გარდა, პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სტუდიებით, სამონტაჟო ლაბორატორიებით, სასწავლო აუდიტორიებით და საკონფერენციო დარბაზებით; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკით; კომპიუტერული კლასებით, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკითა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამებით, ასევე სხვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით.
მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ

შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ასლგადამღები რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასლგადამღები) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. სტუდენტები სარგებლობენ gipa.ge

| |
|---|
| მეილების სისტემით, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა აპლიკაციებსა და შეუზღუდავი ვირტუალური მეხსიერების სივრცეზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ შენობა-ნაგებობების საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>○ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი;<br>○ უსდ-ის შენობების დათვალიერება (დისტანციურად), გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ორგანიზაციის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. უნივერსიტეტში ძირითადი შემოსავალი მთლიანად იხარჯება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. უნივერისტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია სწავლის საფასურები, გრანტები და სხვა შემოსავლები, მათ შორის შემოსავლები საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, იჯარებიდან, მოკლევადიანი დეპოზიტებიდან და სხვა.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირება ნაწილობრივ დოტაციურია. პროგრამის ბიუჯეტის დიდი ნაწილის დაფინანსება ხორციელდება სწავლების გადასახადის მეშვეობით, თუმცა მცირე ნაწილს უნივერსიტეტი აფინანსებს სხვა (პროგრამების და პროექტების) შემოსავლებიდან ითვალისწინებს რა მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის როლს და მნიშვნელობას ქვეყნის მედია გარემოს გაძლიერებისა და დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობის თვალსაზრისით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე უსდ-ს კანცლერთან და ჟურნალისტიკისა და მედია მენჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შემდგომში კი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ამავდროულად განსაზღვრულია ისეთი მარეგულირებელი წესებით როგორიცაა „თავი III |

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები"; „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები".

აღნიშნული რეგულაციები, თავის მხრივ, ეფუძნება და ითვალისწინებს უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპული და ეროვნული სააგენტოების მიერ შემუშავებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. ჯიპა-ში შემუშავებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერსებული მხარის თანამონაწილეობას. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, სისტემური სახე აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებას, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობის შეფასებასა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელებას რაც უცხოელ და ქართველ სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური. წარმოდგენილი პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა არაერთი აქტივობა, შედგა მიზნობრივი სამუშაო შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; პროგრამა გარე შეფასების მიზნით გადაეგზავნა გარე შემფასებლებს. პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის მომზადების პროცესში თანამონაწილეობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად.

შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი სკოლის პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორებისა და სხვა პირების ჩართულობით. აღნიშნული პროცესი ორიენტირებულია, როგორც გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე, ასევე, პოზიტიური ფაქტორების აღმოჩენასა და პროგრამებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გონივრულ ვადაში, შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით, ახდენს შესაბამის რეაგირებას. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება მონიტორინგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესშიც, რაც უზრუნველყოფს საჭიროების

| |
|---|
| შემთხვევაში გამოვლენილ ხარვეზებზე მყისიერ რეაგირებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;<br>ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.<br>გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებთან.<br>თვითშეფასების ანგარიში |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ჯიპა-ში ძირითადად ხორციელდება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, რის შემდგომაც, უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის მიერ ხდება მიღებული მონაცემების გაანალიზება და რეკომენდაციების გათვალისწინება. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოწვეულ ექსპერტებთან და იყენებს მათ მიერ გამოთქმულ რჩევებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების/სრულყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ხარისხის კულტურის შენარჩუნებასა და ამაღლებას.

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განახორციელა მოწვეულმა ადგილობრივმა ექსპერტმა - ნინო დანელიამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მედია ექსპერტი და მასობრივი კომუნიკაციების სპეციალისტი. აღნიშნული შეფასებების შედეგად, მოხდა რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. კერძოდ, სილაბუსებში დაკორექტირდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები; ასევე, სილაბუსებში აისახა შესაბამის დარგებში მომხდარი ცვლილებები უახლესი ლიტერატურული წყაროების შემოტანით და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს საერთაშორისო, პარტნიორ ექსპერტებთან და იყენებს მათ მიერ გამოთქმულ რჩევებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისთვის.
როგორც უკვე აღინიშნა, GIPA-ს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამამ პირველადი აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

გარე ექსპერტის დასკვნა;

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადა

დება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების - ჩართულობით.<br><br>მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეფასება ხდება შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებს:<br><br>შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; |

კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა;
პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ შედგენილი სასწავლო პროცესის სემესტრული ანგარიში;
ჯვარედინი შეფასება - ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, უნივერსიტეტის სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასება;
სტუდენტების მიერ ლექტორების ფარული წესით შეფასება;
სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიშების ანალიზი;
სტუდენტების მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფარული წესით შეფასება;
ლექტორის მიერ ჯგუფის შეფასება;
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება - ა) სტუდენტების შეფასების დისტრიბუცია; ბ) GPA-ს დისტრიბუცია.

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიურ სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოადგენენ პოტენციურ დამსაქმებლებს სკოლის სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულთათვის.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს პარტნიორ უნივერსიტეტებთან -კავკასიის, შავი ზღვის საერთაშორისო და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელდა მასშტაბური ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიზანი იყო დაედგინა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნა პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით.

სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და მიღებული შედეგების ანალიზი. ანალიზის მიზანია, ხარისხის მართვის სხვა ინსტრუმენტებთან კომბინაციაში გაანალიზებულ იქნას, თუ რამდენად აითვისეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები, რაც მოიცავს პროგრამის ან მისი რომელიმე კომპონენტის სირთულის/სიმარტივის და რელევანტურობის შეფასებას, სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურის სირთულე/სიმარტივის შეფასებას, ლექტორების მიერ სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების ადეკვატურობის დადგენას, სტუდენტთა სასწავლო კურსში ჩართულობისა და სისტემაში არსებული სხვა შესაძლო ხარვეზების გამოვლენას.

ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზის „LMB" მეშვეობით უნივერსიტეტი სხვა საშუალებებთან ერთად სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს, რომელშიც გაერთიანებულია შემაჯამებელი ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის მიმდინარეობისა და შედეგების, მათ შორის სტუდენტთა დასწრებისა და მიღებული შუალედური/საბოლოო შეფასებების შესახებ.

განვლილი კურსების შეფასებების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საგნების შეფასებების პროცენტულ ანალიზსა და განაწილებას, შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები თითოეული საგნისთვის. ნიშნულები დადგენილია თითოეული სწავლების წლის მიხედვით და ასახავს დადებითი შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 20%-ს. აღნიშნული დიაპაზონიდან

გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები: სწავლების მეთოდები; თემატიკა; მოცულობა; შეფასების ფორმები და მეთოდები; კურსის დაძლევის წინაპირობა.

პროგრამის განხორციელების პარალელურად ხდება სასწავლო პროცესის შეფასება ელექტრონული კითხვარების მეშვეობით. ამ შემთხვევაში, გამოკითხვების მიზანს წარმოადგენს სტანდარტიზებული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენციებზე დაკვირვება დინამიკაში. ამგვარად, ყოველ სემესტრში სტუდენტები აფასებენ განვლილ საგნებს რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც დადასტურდა ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის იანვრიდან უნივერსიტეტში დაინერგა სტუდენტების მხრიდან ლექტორის ანონიმური შეფასებისა და ლექტორის მხრიდან ჯგუფის ხარისხობრივი (არა ნიშნის მიერი) შეფასება/დახასიათების შინაარსის მქონე კითხვარი, რომელიც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში - „LMB". პროცესის ოპტიმიზება, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და ლექტორებს ელექტრონულად შეავსონ აღნიშნული კითხვარები, ხოლო, მეორე მხრივ, კითხვარების უნიფიცირება იძლევა მონაცემების უკეთესი ანალიზისა და შედარების შესაძლებლობას, გამომდინარე ერთგვაროვანი მონაცემების არსებობიდან.

ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელისა და სკოლის ხარისხის მენეჯერის შეხვედრა სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში. შეხვედრებზე განიხილება მიმდინარე სასწავლო პროცესი, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, პროგრამაში არსებული ხარვეზები (არსებობის შემთხვევაში) და რეკომენდაციები. შეხვედრები ხორციელდება კურსდამთავრებულებთანაც, პროგრამის დასრულებისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შემდეგ, რომელთა რეკომენდაციებისა და ხედვების გათვალისწინება, მნიშვნელოვანია პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
დამსაქმებლებთან შეხვედრის ანალიზი;
ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება;
დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა;
სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების ანალიზი;
საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;
სტუდენტური კითხვარების შედეგების ანალიზი;
სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგების ანალიზი;
კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში;
ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში.
ინტერვიუ სტუდენტებთან აკადემიურ პერსონალთან ხარისხის მართვი ჯუფთან.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ხათუნა კაჭარავა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო ქიმერიძე

მალხაზ გაგუა

თამარ თავხელიძე

ნინო ქიქილაშვილი 